

# ელექტრონული ბიზნესის განვითარების საკითხები საქართველოში

*ონიანი-საღინაძე ნანა – ასოცირებული პროფესორი, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Electronic Business Development Issues in Georgia

*Oniani-saghinadze Nana – Associate Professor, Department of Computer Technologies, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Introduction and aim:** Economic growth in developed countries is conditioned not only by a growing number of computers but also by adding them to the network. This kind of unification fundamentally transforms economical, political, and social relationships. Electronic business is qualitatively new technology in support of all the activities of business which enables companies to achieve a competitive advantage, delight the customer by improving customer service and optimize relationships with their partners. Capacity of businesses and state agencies to benefit from e-business technologies constitutes determinant of the competitiveness of countries worldwide in the twentieth century. These processes led to rapid improvements in information and communications technology. Computers have been transformed into a dominant tool for workforce planning and big changes have been done to facilitate data transmission networks.

**Research methodology:** Qualitative and quantitative approaches have been used in the research process. In particular, the researchers studied e-business development prerequisites and assessed current realities and future possibilities in this respect. Based on the survey method, subjects and objects of electronic business have been determined; subjects expressed satisfaction with the productivity of the sphere, etc.

**Results and implications:** As a result of research some economic, infrastructural, managerial, and legal factors were identified having impact on e-business development. Unfortunately, it's hard to combat problematic issues concerning e-business in Georgia. As for in developed countries, it is defined in accordance with accumulation of experience and achievements in the context of the analysis. The main challenge that frustrates e-business development is lack of internet users (only 30 % of Georgia's population have access to internet) low capacity, the lack of legal basis for e-business, insufficient development of information and communication infrastructure.

**Conclusion:** Electronic Business Development guarantees an array of opportunities for business activities, government and citizens. In this respect it is necessary to effectively manage the transition to digital technologies and satisfy transition management requirements. It's of great significance to maintain sustainable development of e-business and share world trends as well as "leading experience" to help electronic commerce gain foothold in Georgia. It's prominent to attract foreign investment to promote e-business financing and implement the latest innovative approaches and information technologies. In the developed world e-business can be regarded as a powerful stimulus for socio-economic development. It is one of the main levers and a powerful means for countries to promote economic growth and development.

**Keywords:** electronic business, E-business, electronic business models, electronic business development problems

**შესავალი და მიზანი:** მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდა განპირობებულია არა მარტო კომპიუტერების რაოდენობის ზრდით, არამედ მათი ქსელში გაერთიანებით. ასეთი გაერთიანება კარდინალურად გარდაქმნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებს. ელექტრონული ბიზნესი-ბიზნესი საქმიანობის ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიაა, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების და პარტნიორებთან ბიზნეს ურთიერთობების ოპტიმიზაციის ხარჯზე. ბიზნეს და სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობა, გამოიყენოს ელექტრონული

ბიზნესის უპირატესობები, წარმოადგენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში. ამ პროცესების საფუძველია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა, კომპიუტერის დომინირებულ შრომის იარაღად გადაქცევა და მონაცემთა გადაცემის ქსელების განვითარება.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. კერძოდ, შესწავლილი იქნა ელექტრონული ბიზნესის განვითარების წინაპირობები და საქართველოს დღევანდელი რეალობა. გამოკითხვის მეთოდით განისაზღვრა ელექტრონული ბიზნესის სუბიექტები და ობიექტები, სუბიექტების კმაყოფილება აღნიშნული სფეროს შემოსავლიანობით და ა. შ.

**შედეგები და გამოყენება:** კვლევის შედეგად გამოიკვეთა ელექტრონული ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, მმართველობითი და სამართლებრივი ფაქტორები. სამწუხაროა, რომ ელექტრონული ბიზნესი საქართველოში ვლინდება თავისი პრობლემატურობის ნიშნების მიხედვით. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში კი, ის ვლინდება გამოცდილების დაგროვებისა და მიღწევების ანალიზის კონტექსტში. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის სიმცირე (საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 30% არის ინტერნეტ მომხმარებელი), მოსახლეობის დაბალი მსყისველობითი უნარი, ელექტრონული ბიზნესის საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება.

**დასკვნა:** ელექტრონული ბიზნესის განვითარება განაპირობებს მრავალ ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, სახელმწიფოსთვის და მოქალაქეებისთვის. ამ შესაძლებლობების გამოყენებისათვის აუცილებელია ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ეფექტურად მართვა. საჭიროა ელექტრონული ბიზნესის ინტენსიური განვითარება, მსოფლიო ტენდენციების და წამყვანი გამოცდილების სწრაფი გაზიარება და საქართველოში დანერგვა. მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა ქართულ ელექტრონული ბიზნესის დასაფინანსებლად. მასთან, ელექტრონული ბიზნესის განვითარების მიზნით აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უახლესი ინოვაციური მიდგომების დანერგვა. მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ელექტრონული ბიზნესი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრ სტიმულს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკისთვის კი, ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ინოვაციურ და ძლიერ ეკონომიკად ჩამოყალიბების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული ბიზნესის მოდელები, ელექტრონული ბიზნესის განვითარების პრობლემები.

## 1. შესავალი

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდა განპირობებულია არა მარტო კომპიუტერების რაოდენობის ზრდით, არამედ მათი ქსელში გაერთიანებით. ასეთი გაერთიანება კარდინალურად გარდაქმნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებს. ელექტრონული ბიზნესი, ბიზნეს საქმიანობის ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიებია, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას, კლიენტების მომსახურეობის გაუმჯობესების და პარტნიორებთან ბიზნეს ურთიერთობების ოპტიმიზაციის ხარჯზე. ბიზნეს და სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობა, გამოიყენოს ელექტრონული ბიზნესის უპირატესობები, წარმოადგენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში. ამ პროცესების საფუძველია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა, კომპიუტერის დომინირებულ შრომის იარაღად გადაქცევა და მონაცემთა გადაცემის ქსელების განვითარება.

## 2. მსოფლიოში ელექტრონული ბიზნესის განვითარების ტენდენციები

დღეს ბევრი მეცნიერი ეთანხმება იმ აზრს, რომ კაცობრიობა აგრარული და ინდუსტრიული განვითარების სტადიიდან გადადის ახალ ინფორმაციულ სტადიაში. თუ აგრარულ და ინდუსტრიულ ეკონომიკაში ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ არხს წარმოადგენდნენ სატრანსპორტო გზები, ინფორმაციულ საზოგადოებაში განვითარების მთავარი არხია კომპიუტერული ქსელები. ამგვარად ქვეყნის კეთილდღეობის ზრდა ინფორმაციულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული საინფორმაციო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე [1].

ამ მხრივ, საინტერესოა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს მონაცემები, რომლებიც ნათლად მიუთითებენ მომსახურეობის სფეროს დინამიურ ზრდას მსოფლიოს ქვეყნებში.

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში 2012 წ.

ქვეყანა	სოფლის მეურნეობა %	მრეწველობა %	მომსახურეობა %
აშშ	1.1	19.2	79.7
გერმანია	0.8	28	71.2
ინგლისი	0.7	21	78.3
რუსეთი	9.9	36	60.1
თურქეთი	9.1	27	63.9
ჩინეთი	10.1	45.3	44.6
საქართველო	7.8	23	69.2

თითქოს საქართველოს არც თუ ისე ცუდი მაჩვენებლები გააჩნია, მაგრამ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქამებულია მომუშავეთა 50%-ზე მეტი, როცა გერმანიაში-1.6%, ჩინეთში-10.1%, რუსეთში-7.9%. ხოლო საქართველოს მომსახურეობის სექტორის 69.2%-ში პრაქტიკულა არ არის ე.წ. მაღალი ტექნოლოგიები (High Technology), რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ინოვაციური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას.

ამერიკელი მეცნიერის მანუელ კასტელის (Manuel Castells) აზრით, შრომის საერთაშორისო განაწილებას გააჩნია შემდეგი 4 ვარიანტი:

- მაღალი ღირებულების მწარმოებლები (საინფორმაციო შრომაზე დაფუძნებული)
- დიდი მოცულობების მწარმოებლები (შრომის დაბალ ღირებულებაზე დაფუძნებული)
- ნედლეულის მწარმოებლები (საფუძვლად უდევს ბუნებრივი რესურსები)
- ზედმეტი მწარმოებლები

(გაუფასურებელ შრომაზე დაფუძნებული) [2].

სამწუხაროდ ამ კლასიფიკაციით საქართველო განეკუთვნება „ზედმეტ მწარმოებლებს“, რადგანაც ჩვენ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ვერ შევძლებთ მე-2 და მე-3 ვარიანტების განვითარებას. საქართველოს მთავარი განვითარების ამოცანაა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დამყარებული შრომის განვითარება.

ამგვარად, საქართველოში სტაბილურად განვითარებისათვის, აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირველრიგითი განვითარება. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, მისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გამოიწვევს ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის ზრდას, ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული მთავრობის განვითარებას.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უკვე დიდი ხანია თავიანთი ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მიიჩნევენ. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წილი სულ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. აშშ-ში შეადგენს 20%, ევროკავშირის ქვეყნებში 17%, ისრაელი 11%, იაპონიაში 10.6%. შედარებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთში 2%, ესტონეთში 0.53%, ირანში 0.22%, ხოლო საქართველოში 0.09% შეადგენს, რაც ნათლად მიუთითებს საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დაბალ დონეზე.

ევროპაში ინტერნეტ ეკონომიკის განვითარების ტემპებით ლიდერობს დიდი ბრიტანეთი. კონსალტინგური კომპანიის Boston Consulting Group მონაცემებით ინგლისის მთლიან შიდა პროდუქტში ინტერნეტ ეკონომიკის წილი შეადგენს 7.2%. მისი მნიშვნელობა თითქმის უტოლდება ფინანსურ მომსახურებას და აღემატება სამშენებლო და სატრანსპორტო სფეროს. აღსანიშნავია, რომ ინგლისში ინტერნეტ ეკონომიკის ნახევარი მოდის ელექტრონულ ბიზნესზე, ხოლო მეორე ნახევარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების იმფრასტრუქტურაზე და სახელმწიფო ხარჯებზე ამ სფეროს განვითარებისთვის [3].

კონსალტინგური კომპანიის მონაცემები Forrester Inc მონაცემებით აშშ-ში 2012 წელს ინტერნეტ გაყიდვებმა შეადგინა 226 მილიარდი დოლარი, ხოლო 2016 წლისათვის ისინი გაიზრდებიან 45%-ით და მიაღწევენ 327 მილიარდ დოლარს. კომპანიის პროგნოზით 2016 წელს აშშ-ში საცალო ვაჭრობის მოცულობაში ინტერნეტ გაყიდვები შეადგენს 9%. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 53% -მა განახორციელა ონლაინ შესყიდვები [4].

### **3. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარების ფაქტორები და პრობლემები**

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ელექტრონული ბიზნესი უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე მათი ეკონომიკა. გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ელექტრონული ბიზნესის განვითარებაზე:

ეკონომიკური ფაქტორები:

- ეკონომიკური სიტუაციის სტაბილურობა;
- ნაციონალური ეკონომიკური კომპლექსის მოცულობა;

- ნაციონალური წარმოების და მოხმარების დინამიკა;
- ეკონომიკის მონოპოლიზაციის დონე;
- საგადასახადო კლიმატი;
- საინვესტიციო კლიმატი;
- ელექტრონული საგადასახადო სისტემის განვითარების დონე;
- ეკონომიკი მონეტოზაციის დონე;
- მომხმარებლებისთვის პროდუქციის მოხერხებული და შედარებით იაფი მიწოდების ხერხები.

ინფრასტრუქტურული ფაქტორები

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე;
- ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა და მისი ზრდის დინამიკა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში ინტელექტუალური პოტენციალის დონე

მმართველობითი ფაქტორები;

- კორპორაციული მმართველობის ეფექტურობა;
- კორუფციის დონე.

სამართლებრივი ფაქტორი

- ელექტრონული ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების დონე.

სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული ბიზნესი საქართველოში ვლინდება თავისი პრობლემატურობის ნიშნების მიხედვით, როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ აშშ-ში და ევროკავშირში, ის ვლინდება გამოცდილების დაგროვებისა და მიღწევების ანალიზის კონტექსტში.

საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარების ძირითადი პრობლემებია:

- საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის სიმცირე.

საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 30% არის ინტერნეტ მომხმარებელი. ამასთანავე მომხმარებლების უმეტესობა ქსელში გართობის და არა რაიმე პროდუქციის შეძენის მიზნით შედის. ამერიკული კომპანიის Alexa მონაცემებით, ქართველი მომხმარებლების ყველაზე მოთხოვნილი ვებ-საიტია, სოციალური ქსელი Facebook, ხოლო კომპანია Amazon, მე-11 ადგილზეა.

- მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი.

აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, საშუალო კლასის ფორმირება. დღეს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი, ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 5450 დოლარს და ამ მაჩვენებლით ის იკავებს 111-ე ადგილს მსოფლიოს 181 ქვეყანას შორის. ეს მაჩვენებელი ორჯერ მცირეა მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც 10700 დოლარს შეადგენს.

- საწარმოების, ორგანიზაციების და საოჯახო მეურნეობების კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის დაბალი დონე.

ინტერნეტის გავრცელების თვალსაზრისით, თვალშისაცემი შეუსაბამობაა საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. სოფლად მცხოვრებთა მხოლოდ 7% , ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. 6% კი, ინტერნეტში კვირაში ერთხელ შედის. როცა

თბილისში, მოსახლეობის 46% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. რეგიონებში ინტერნეტის გავრცელების დაბალ მაჩვენებელს ინტერნეტ პროვაიდერებმე გაძნელებული წვდომა, მომსახურების ფასი და კავშირის სიჩქარე განაპირობებს.

➤ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება.

განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემა დგას საქართველოს რეგიონებში. საქართველოში ინტერნეტ კავშირების მხოლოდ 10.1% არის ფართო ხაზოვანი წვდომით და მათი სიჩქარე 4მბ/წმ-ს აღემატება. მაღალ სიჩქარიანი ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტი ძირითადად თბილისის მოსახლეობას აქვს. რამდენიმე ოპერატორი უახლოეს პერიოდში ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურის ქუთაისსა და სხვა ქალაქებში გავრცელებას გეგმავს.

➤ საქართველოს მოსახლეობაში კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაბალი დონე.

კომუნიკაციისთვის ინტერნეტის გამოყენება და ინფორმაციის მიღება, კომპიუტერის მოხმარების გარკვეული საფუძვლების ცოდნას მოითხოვს. საქართველოში ინტერნეტის მოხმარებელთა რაოდენობის ზრდის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი, სწორედ კომპიუტერის გამოყენების უნარების ნაკლებობაა. 18 წელზე მეტი ასაკის საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს (57%), საერთოდ არ აქვს კომპიუტერის გამოყენებისთვის საჭირო საბაზისო ცოდნა.

➤ ელექტრონული ბიზნესის საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო 2008 წლის 14 მარტს მიიღო კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. თუმცა ჯერჯერობით არ არის მიღებული სხვა ისეთი მნიშვნელოვანი ხასიათის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები, როგორცაა კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“, კანონი „ელექტრონული გარიგებების შესახებ“, რომლებიც უშუალოდ ქმნიან სამართლებრივ გარემოს, სადაც წარმატებით და შეუფერხებლად უნდა განვითარდეს ელექტრონული ვაჭრობა.

➤ ელექტრონული ბიზნესის სფეროში სპეციალისტების და ექსპერტების სიმცირე.

ელექტრონული ბიზნესი, როგორც სპეციალისტების მომზადების დამოუკიდებელი მიმართულება, წარმოადგენს ინტერდისციპლინურ მიმართულებას, რომელიც წარმოიქმნა საინფორმაციო-საკომუნიკაციო-ტექნოლოგიების განვითარების შედეგად და ასახავს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ელექტრონულ გარემოსი გადაყვანის არსებულ მდგრად ტენდენციას. ამ დარგის სპეციალისტებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ ღრმა ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე ბიზნესის სფეროში. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს ელექტრონული ბიზნესის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. დღესდრეობის სამაგისტრო პროგრამა „ელექტრონული ბიზნესი“ დანერგილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2013 წ.) და სამაგისტრო პროგრამა „ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები“, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (2015 წ.).

➤ საქართველოში ელექტრონული ბიზნესის სფეროში სტატისტიკური მონაცემების არ არსებობა.

ელექტრონული ბიზნესის ადეკვატური სტატისტიკური მონაცემების არ არსებობა

მნიშვნელოვნად აფერხებს მის განვითარებას და ხელს უშლის ამ სფეროში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას, როგორც სახელმწიფოს ასევე ასევე ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან.

- საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული ბიზნესის განვითარების მიმართ ინტერესის და მხარდაჭერის არ არსებობა.

#### 4. დასკვნა

ელექტრონული ბიზნესის განვითარება განაპირობებს მრავალ ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, სახელმწიფოსთვის და მოქალაქეებისთვის. ამ შესაძლებლობების გამოყენებისათვის აუცილებელია ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ეფექტურად მართვა. საჭიროა ელექტრონული ბიზნესის ინტენსიური განვითარება, მსოფლიო ტენდენციების და წამყვანი გამოცდილების სწრაფი გაზიარება და საქართველოში დანერგვა. მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა ქართულ ელექტრონული ბიზნესის დასაფინანსებლად. მასთან, ელექტრონული ბიზნესის განვითარების მიზნით აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უახლესი ინოვაციური მიდგომების დანერგვა. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ელექტრონული ბიზნესი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრ სტიმულს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკისთვის კი, ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ინოვაციურ და ძლიერ ეკონომიკად ჩამოყალიბების პროცესში.

#### 5. გამოყენებული ლიტერატურა

[1] დ. ზაუტაშვილი „ელექტრონული ბიზნესი“. აწს უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი 2013წ. 244გვ.

[2] Castells M. The Information Age: Economy, Society and Culture: End of Millennium. Malden (Ma) – Oxford: Blackwell Publisher., 1998.

[3] Central Intelligence Agency, USA. The World Factbook  
<http://www.cia.gov/publications/factbook/>

[4] Ecommerce Europe “Europe B2C Ecommerce report 2013”  
<http://www.ecommerce-europe.eu/website/facts-figures/light-version/download%20>